ენის ბარიერი, აკულტურაციის სტრატეგია და დისკრიმინაციის გამოცდილება, როგორც იდენტობის სინთეზისა და აღრევის პრედიქტორები ეთნიკურ უმცირესობებში

მინაია გუსეინოვა

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერება და ხელოვნების ფაკულტეტზე კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრის ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა: ფსიქოლოგია

მიმართულება: კლინიკური ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო სხირტლაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

02.05.2025

აბსტრაქტი

თანამედროვე მრავალკულტურულ რეალობაში ეთნიკური უმცირესობების იდენტობის ჩამოყალიბების პროცესები წარმოადგენს რთულ და მრავალფაქტორიან პროცესს, რომელიც განპირობებულია როგორც ინდივიდუალური, ისე კონტექსტუალური მახასიათებლებით. წინამდებარე კვლევის მიზანი იყო იმის განსაზღვრა, თუ როგორ პროგნოზირებენ ენის ბარიერი, აკულტურაციის სტრატეგიები (მშობლიური და მასპინძელი კულტურისადმი ორიენტაცია) და დისკრიმინაციის გამოცდილება იდენტობის სინთეზსა და აღრევას საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებში.

კვლევაში მონაწილეობა მიიღო 121-მა ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელმა, მათი ასაკი 18-29 წელს შორის მერყეობდა, მათ შეავსეს იდენტობის პროცესების, აკულტურაციისა და დისკრიმინაციის შესაფასებელი კითხვარები. მონაცემთა ანალიზის შემდგომ შედეგებმა აჩვენა, რომ მშობლიური კულტურისადმი ორიენტაცია პოზიტიურად პროგნოზირებს იდენტობის სინთეზს, ხოლო დისკრიმინაციული გამოცდილება პოზიტიურად პროგნოზირებს იდენტობის აღრევას. ენის ბარიერი და მასპინძელი კულტურისადმი ორიენტაცია არ აღმოჩნდა დაკავშირებული იდენტობის სინთეზთან და აღრევასთან.

წარმოადგენილი კვლევა მიუთითებს იმ ფაქტორებზე, რომლებიც ხელს უწყობენ ან აფერხებენ იდენტობის სტრუქტურირებას მრავალკულტურულ გარემოში, რაც შეიძლება საფუძვლად დაედოს როგორც სამეცნიერო კვლევებს, ისე პრაქტიკულ ინტერვენციებს ინტეგრაციის მხარდასაჭერად.

ძირითადი საძიებო სიტყვები:
იდენტობის სინთეზი, იდენტობის აღრევა, ეთნიკური უმცირესობა, ენის ბარიერი, აკულტურაცია, დისკრიმინაცია, აკულტურაციის სტრატეგიები.

Abstract

In the context of contemporary multicultural realities, identity development among ethnic minorities represents a complex and multifactorial process, shaped by both individual and contextual characteristics. The aim of the present study was to examine how language barrier, acculturation strategies (orientation toward the heritage and host cultures), and experiences of discrimination predict identity synthesis and identity confusion among ethnic minority individuals residing in Georgia.

A total of 121 participants from ethnic minority backgrounds, aged between 18 and 29, completed self-report questionnaires assessing identity synthesis and confusion, acculturation, and perceived discrimination. Following statistical analysis, the findings revealed that orientation toward the heritage culture positively predicted identity synthesis, while experiences of discrimination positively predicted identity confusion. Language barriers and orientation toward the host culture did not demonstrate statistically significant associations with either identity outcome.

These results support theoretical perspectives that view identity formation as a socially embedded and context-sensitive process. The study highlights factors that may facilitate or hinder identity structuring in multicultural environments and may serve as a foundation for both future empirical research and practical interventions aimed at supporting integration.

Keywords:

Identity synthesis, identity confusion, ethnic minority, language barrier, acculturation, discrimination, acculturation strategies

მადლობა

მინდა განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო ჩემს ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს ნინო სხირტლაძეს, რომელიც ნაშრომზე მუშაობის პერიოდში აქტიურად მეხმარებოდა, საჭიროების მიხედვით მინიშნავდა შეხვედრებს და მაძლევდა დეტალურ უკუკავშირს. მისმა რეკომენდაციებმა დამეხმარა სამაგისტრო ნაშრომის დასრულებაში.

ასევე, მადლობა მინდა გადავუხადო კვლევაში მონაწილე რესპოდენტებს, რომლებმაც გამონახეს დრო კითხვარის შესავსებად. წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელი იქნებოდა კვლევის ჩატარება და შესაბამისად შედეგების განხილვა.